ოქმი:**ო02. 3723356001**

თარიღი:**22/12/2023**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14.0-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ.ტუღუში; ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, ვლ. ხავთასი, ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი, ალ. ბურჭულაძე, ალ. ღლონტი, ნ. სარჯველაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე’ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.47.199, ს.კ. 26.26.47.198, ს.კ. 26.26.47.197, ს.კ. 26.26.47.195, ს.კ. 26.26.47.194, ს.კ. 26.26.47.196, ს.კ. 26.26.47.193, ს.კ. 26.26.47.192, ს.კ. 26.26.47.189, ს.კ. 26.26.47.202, ს.კ. 26.26.47.188, ს.კ. 26.26.47.127, ს.კ. 26.26.03.606, ს.კ. 26.26.48.094, ს.კ. 26.26.47.191, ს.კ. 26.26.47.190) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ’ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგილაძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ მასში გათვალისწინებულია ის შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოთქმული იქნა განხილვის პროცესში. პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა პ. ჭყონია განაცხადა, რომ ბიუჯეტი დაიგეგმა 37,750 ათასი ლარით და კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ის ცვლილებები, რომლებიც შევიდა კორექტირებულ პროექტში მთლიანად, ასევე ისაუბრა იმ შენიშვნებზე, რომლებიც კომისიას გააჩნდა ბიუჯეტის პროექტის მიმართ. პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, კომისიის წევრებმა მოიწონეს სოფელ ლიხაურში გზის რეაბილიტაციის პროექტი და მხარი დაუჭირეს მის წარდგენას საკრებულოსა და ბიუროს ხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო კომპანიისათვის საპარკინგე ადგილების სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი